თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე, როინ მარგიანი, როგორც ს.ს. "თრიალეთი"-ს (ს.კ № 209467717) დირექტორის გიორგი გოჩიტაშვილის მინდობილი პირი (თანახმად მინდობილობისა № 150663827, დამოწმებული ნოტარიუს ლ. გზირიშვილის მიერ 24.06.015 წ.), თანახმა ვარ, რომ ს.ს. "თრიალეთი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთების, ს/კ. №01.11.04.019.227, და ს/კ № 01.11.04.019.226 მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთზე, რომელიც არის შპს. "ნიუ ლამ ჯორჯია"-ს (ს/კ № 400009637) საკუთრებაში ს/კ № 01.11.04.019.226 განთავსდეს დასაპროექტებელი შენობის კიბის უჯრედი, მოეწყოს კიბე, ღიობები, ფანჯარა და კარი, აივნები და გადახურვის ნაწილები. ასევე თანხმობას ვაცხადებ საპროექტო შენობაზე ს.ს. "თრიალეთი"-ს საკუთრებაში ნაკვეთის მხარეს განათავსონ ფანჯრის ღიობები და კარები. რაზედაც პრეტენზია არ მაქვს და ვადასტურებ ჩემი ხელის მოწერით.

_____

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N150666549
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	24.06.2015 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	თამარ ბაქრაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი დ/დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 16
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	591 701 115; 322 43 28 70;
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	26379127571915

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

ორი ათას თხუთმეტი წლის ოცდოთხ ივნისს მე, თამარ ბაქრაძეს, ნოტარიუს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, დ/დიღომი, ი.პეტრიწის ქ. № 16, მომმართა მოქ. როინ მარგიანმა მან წარმომიდგინა თანხმობა და განაცხადა, რომ სურს მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად როინ მარგიანმა (დაბადებული 27.09.1976 წ. ოჩამჩირე. პ/№ 62005011581) მომმართა. მე ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში და უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. მე ასევე შევამოწმე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე ნოტარიუსმა, განვუმარტე მას რომ პასუხს არ ვაგებ თანხმობის შინაარსის სამართლებლივ შედეგებზე და ვამოწმებ მხოლოდ მხარის ხელმოწერის ნამდვილობას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე თანხმობას, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა № 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ" 31-ე მუხლისა – 2 (ორი) ლარი: აგრეთვე 2 (ორი) ლარი ელექტრონული რეესტრის რეგისტრაციისათვის – მუხლი 39, თანახმად ზემოთ მითითებული დადგენილებისა და ასევე დღგ 0.36 (ოცდათექვსმეტი თეთრი) ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

ნოტარიუსი /თამარ ბაქრაძე/